



## უფლებათა დეკლარაცია

**გადაეცემა წინასწარ პატიმრობაში მყოფს პირს დაუყოვნებლივი სასამართლო პროცესის პროცედურების ფარგლებში ან ოქმის საფუძველზე მიხედვით სასამართლოში გამოცხადების პროცედურის თანახმად, დაკავების ორდერის სასამართლო კონტროლის გაუქმების შემდეგ**

თქვენს საქმეს იხილავს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო და თქვენ წინასწარი პატიმრობა შეგეფარდათ სასამართლო სხდომამდე, რომელზედაც განხილული იქნება ქმედებები, რომლებიც ბრალად გედებათ. ამ დოკუმენტში მოყვანილია თქვენი ძირითადი უფლებები.

### **უფლება გაქვთ ეს დოკუმენტი შეინახოთ მთელი თქვენი წინასწარი პატიმრობის მანძილზე**

#### **დანაშაულის შესახებ ინფორმირება**

თქვენ უფლება გაქვთ, იცოდეთ გაიგოთ იმ დანაშაულის კვალიფიკაცია, რომლის გამოც თქვენ მიცემული ხართ პასუხისგებაში მიმართ წარმოებს სასამართლო დევნა, მისი ჩადენის სავარაუდო თარიღი, ადგილი და თქვენთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების მიზეზი.

#### **ადვოკატის დახმარება**

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ თქვენ ს მიერ არჩეული ან თქვენთვის სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატის დახმარება.

თქვენ თავისუფლად შეგიძლიათ ეკონტაქტოთ უფლება გაქვთ თავისუფლად კომუნიკაცია იქონიოთ თქვენს ადვოკატთან ან წერილობით მისწეროთ თქვენს ადვოკატს, და ის უფლებამოსილია დაგეხმაროთ ყველაიმ სასამართლო სხდომისას, რომლის თაობაზეც შეატყობინებთ.

#### **დუმისლის გამოყენების შენარჩუნების უფლება**

უფლება გაქვთ სასამართლოს წინაშე გააკეთოთ განცხადებები, უპასუხოთ თქვენთვის დასმულ შეკითხვებს ან გაქვთ გამოიყენოთ დუმისლის შენარჩუნების უფლება.

#### **თარჯიმნის დახმარება**

თუ ფრანგულად ვერ საუბრობთ ან ფრანგული არ გესმით, უფლება გაქვთ მიიღოთ თარჯიმნის უფასო მომსახურება თქვენი დაკითხვის დროს და თქვენს ადვოკატთან ურთიერთობისათვის.

#### **განთავისუფლების მოთხოვნის უფლება**

თქვენ ყოველთვის გაქვთ სასამართლო სადადმი განთავისუფლების მოთხოვნით მიმართვის უფლება.

## **თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა**

თქვენ წინასწარ პატიმრობაში დარჩებით თქვენი სასამართლო სხდომის თარიღამდე ან სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოში წარდგენის ან ხელმეორედ ხელახალი მოწვეულ სასამართლო სხდომამდე. წარდგენის თარიღამდე.

თუ თქვენ დაკავებული ხართ დაკავების საკითხთა მოსამართლის გადაწყვეტილებით და დაუყოვნებლივი სასამართლო პროცესის პროცედურის შესაბამისად, ეს დაკავება არ უნდა გაგრძელდეს სამ სამუშაო დღეზე მეტ ხანს.

თუ თქვენ წინასწარი პატიმრობა შეგეფარდათ დაკავების საკითხთა მოსამართლის გადაწყვეტილებით, დაწესებული სასამართლო კონტროლის დარღვევისათვის. სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს წინაშე წარდგენამდე პროცესის მოლოდინში დაკავების ორდერის დარღვევისათვის, დაკავების ვადა შეიძლება აღემატებოდეს ორ თვეს.

თუ წინასწარი პატიმრობა შეგიფარდათ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლომ, რომელმაც გადადო თქვენი საქმის სასამართლო განხილვა, თქვენი დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს კვირას ან ოთხ თვეს, იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული, რომელშიც ეჭვმიტანილი ხართ, ითვალისწინებს შვიდ წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთას.

## **გარკვეული პირებისადმი შეტყობინება ინფორმირება.**

თქვენ უფლება გაქვთ, თქვენი წინასწარი პატიმრობის შესახებ შეატყობინოთ თქვენთვის სასურველ პირებს, კერძოდ, ოჯახის წევრებს.

თქვენ ასევე შეგიძლიათ შეატყობინოთ თქვენი ქვეყნის საკონსულოს ხელმძღვანელობას თუ ხართ უცხო ქვეყნის მოქალაქე.

## **ექიმის მიერ შემოწმება**

უფლება გაქვთ, მოითხოვოთ ექიმის მიერ შემოწმება.

## **საქმის მასალების ხელმისაწვდომობა**

თქვენი ადვოკატისთვის ხელმისაწვდომი იქნება თქვენი საქმის მასალები და მას შეუძლია მათი ასლის გამოთხოვნა. თქვენ ასევე გაქვთ ასლის გამოთხოვნის უფლება.